


„დროების“ რედაქცია — სასაბლეს ქუჩაზე, დ. სა-
 რაჯოვის სახლში.
 ანულის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
 ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე
 მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дროების“
 ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით—
 8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
 6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდი წყნარად 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული განცხადებით გვერდი-
 ლი 25 კაპათი; პირველი 50 მხრე რედაქციის მისამართზე
 მისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-
 ლობზედ.
 თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
 და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოცხადებულ წერილებს
 დაუბეჭდავად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
 ავტორს.
 „Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за
 границы принимаются только въ центъ, конторѣ
 объявл. Л. Метцль, Москва, Петровка, № 6

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკია. გამომდის ყოველ-ღვინე ორშაბათს ბარდა.

ღვინე, თებერვლის 17-ს საღამოს რვა საათზე **თბილისის ასობრანის**
 ზალაში იქნება გამართული
კონცერტი
 სასარგებლოდ რეალურ გიმნაზიის ღარიბ მშენებელთა, რომელნიც წელს
 ათავებენ კუ-ს.



Librairie Chaverdoff
GRAND SUCCÈS!
LA PEAU DE LÉOPARD
 d'après
CHOTA ROUSTHAVÉLI
 par
Achas Borin. (10—3)

სად არიან, სად მიიპალნენ?
 თბილისი, თებერვლის 17-ს
 ბადამეტებულის ან ძალ-დატანები-
 თი მოძრაობის და ჭიხკურის ვა-
 ჯიშობის შემდეგ, კაცი ილაღება, იქა-
 ნცება; რამოდენიმე ხანმა უნდა გან-
 ელოს, რომ ადამიანი თავის გონზე
 მოვიდეს, სხეული დაუმძვიდდეს და
 იმ დონეზე დადგეს, რომ შეეძლოს
 რაიმე ჭიხკური, ან გონებრივი მო-
 ქმედება. ამ გვარსავე მოვლენას ვხე-
 დავთ ხოლმე ხალხის ცხოვრებაშიაც.
 ხანგრძლივი, მოუსვენარი ცხოვრება,
 რამი, ბრძოლა მტერთან, შინაური

პრე-დარევა ხალხს ღალატს, ასუს-
 ტებს; ბევრი დრო უნდა, სანამ მისი
 ცხოვრება ჩვეულებრივს კალაპოტში
 ჩადგება, ნორმალურს მდგომარეობა-
 ში მოვა; სანამ ის მოჰკიდებს ხელს
 რაიმე შინაურს საქმეს, რომელიც მი-
 სი ცხოვრების გამაუმჯობესებელი,
 წინააღმდეგობა, რომელიც ამასთანავე
 მისი გონებრივის ძალის დამამტკიცებელია.

მა დაგვძლია, სხეული მოსვენებას
 თხოულობდა და ამ გვარმა მდგო-
 მარობამ თითქმის ნახევარი საუ-
 კუნე მეტი გასტანა. წარსულის
 შთაბეჭდილებანი და მოგონებანი მი-
 ნარეს ჯერ კიდევ ცოცხლად ჩარჩე-
 ნოდა გულში, და ხან-და-ხან კენესით
 ამოიზრებდა იგი, ესიზმრებოდა თა-
 ვისი ბედი და უბედობა, გულ-ამოს-
 კვით ამობოდავდა „თუ ვით იფერ-
 ნი, ლომ-გულნი გმირნი, ჰბრძოდენ,
 ჰცხოვრებდენ დროსა წარსულსა“;
 ამ ბოღეში ნატვრაც ისმოდა: იგი
 დაჰნატვრდა „მათ, ვინც თვისი სი-
 ცოცხლე თვისსა მამულსა შეჰსწირა
 მსხვერპლად“, იგი დაჰნატვრდა დრო-
 თა, „როს ქართველთ აქენდათ ტრფო-
 ბა მამულისადმი გულს აღბეჭდილად“.
 ეს კენესა გამოისმოდა ბრიგოლ-მრ-
 ბელიანის და ნიკოლოზ ბარათაშვილის
 პოეზიაში, მათი ქნარი გამოსცემდა
 გულ-საკლავ ხმებს—და ეს ხმები იყო
 მართლა რომ დროებითად მიძინებუ-
 ლის ამოიზრება.

თებლობისაგან დაწყებულს მოძრაო-
 ბას ხელი შეუწყო რუსეთში მწერლო-
 ბამ. ამ დროს ჩვენც წამოგვეწერა
 ახალთაობა, რომელმაც ახალი იდეა-
 ლები შემოიტანა ცხოვრებაში, განუღ-
 ვისა საზოგადოებას იმედები და წარ-
 სულის ცხოვრების მაგალითებით რო-
 გორც მასალით სა-გებლობდა; ის იყო
 დასაწყისი ჩვენის ახალის, ხელახლად
 დაბადებულის მწერლობისა. რუსეთში
 რეჟორმებისაგან გამოწყვეტილი მოძ-
 რაობა ჩვენშიაც გადმოვიდა და იმ
 გით და იმ სახით მოქმედობდა თავ-
 დაპირველად, როგორც რუსეთში. ბა-
 ტრანუმობის მოსაზრებამ, ახალი სხვა-
 მართლობის შემოღებამ აღიტაცა
 ახალ-თაობა, მრავალნი პირნი გამო-
 იწვია ასაზრებზე სამოქმედოდ და მრავალ-
 ვალ-გვარი მასალაც მისცა მათ ხელ-
 ში. ამასთანავე თითქმის ყოველი წე-
 ლიწალი უმატებდა და სძენდა ჩვენის
 ახალ-თაობის წრეს მომქმედ პირებს
 რომელსამე საზოგადო საქმისათვის.
 მართალი უნდა ვსთქვათ, ამ ახალ-
 თაობას დიდი ღვაწლი მიუძღვის თავის
 სამშობლოსადმი. რაც ჩვენის მა-
 მულისათვის სასარგებლო დაწესებუ-
 ლება არის ჩვენში, ყველა ჩვენის
 ახალ-თაობის მეცადინეობის ნაყოფია.
 თვით საზოგადოების მიმართულება,
 მისი აზრი, გონება, შეიცვალა ამ გავ-


«დროების» ჟურნალი, თებერვ. 16-ს
საპირიანო ჟურნალი.

ყვირილიანი გოგონები.—ბნი ხრონიევიჩი
 და გლეხი ფუტყარაძე.—გინ სტუქისი? —
 მედიანოვების საპირიანო.—უქსავერ-
 თი-ლინგვისტიკა.—ბოლიშევი რედაქ-
 ციის მხრივ: ბოლიშევი. დამაპიძის წი-
 ნაზე.—ბოლიშევი წინაშე ქუთაისის სამე-
 ურნეო საზოგადოების განყოფილების
 მდიანისა.
 მდ. შვირილის არე-მარემკარგი ფე-
 ხის მოსავალი იცის თურმე: გლეხს
 შუთკარაძეს სწორედ ამ არე-მარეზედ
 ორზოდ ქცევა სიმინდი ჰქონია დათე-
 სილი; სიმინდის ტარობები რომ შორ-
 წიფენ და მომწიფდენ, მეზობლის
 საქონელმა კბილების კრეჭით დაუწყო
 ყურება ამ გემრიელ ლუქმას. მეზობ-
 ლად შუთკარაძეს ბატონი ხრ—ვიჩი
 ჰყავს, დიდი ბატონი ხრ—ვიჩი, რომელიც
 ადგილობრივი კამანდის უფ-
 როსად ითვლება და დროს გასატა-
 რებლად დროების მოშენებას მისდევს.
 მასთან შედარებით შუთკარაძე ჩრჩი-
 ლის ჭიხა, რომელსაც ხმა მხოლოდ
 ძამინ ამოვლენს, როდესაც უფროსი
 უბძანებს, თუმცა, ვიტყვით ფიხილებ-
 ში, თავის სოფელში ამ შუთკარაძეს
 ხმა აქვს და პატიოსანი კაცის ხმაც.
 ბატონი ხრ—ვიჩის გოგებს მოს-
 წონებიათ შუთკარაძის სიმინდი და

შეგ გაუსვირიათ. მრთს გასვირნებას
 მეორე და მესამე მიჰყოლია და ბრიყვ
 შუთკარაძეს ამისთანა ძვირფასი სტუმ-
 რები ჯეროვანად ვერ დაუფასებია;
 გამოსდგომია ხელში კოლოკით, და
 გულ-უბვი მასანძლობის მაგიერად,
 ერთი შესაწავი გოკი საიქიოსაც კი
 გაუსტუმრებია.
 ძველი ჩვეულების ამ გვარად დავი-
 წყებისათვის შუთკარაძეს ღირსეული
 სასჯელი მიუღია: ბნი ხრ—ვიჩი იმ-
 დენად დაუმდებლობა თავი, რომ ამ
 ჩრჩილის ქაზედ თავის ბედნიერი ხე-
 ლი გამოუღია და ნებიერი გოგის ჯაფ-
 რის ამოსაყრელად, მდაბიურად რომ
 ვთქვათ, უცემია შუთკარაძისათვის და
 მას უკან ციხეშიაც ჩაუშვედევინებია.
 მაგის მეტი სალაპარაკო საგანი ვერ
 იპოვნეთო? — იტყვის მკითხველი. შუ-
 თკარაძე ვის ეკადრება, ან იმის ერთი
 ქცევა სიმინდი, რომ იმაზედ მოგი-
 თავთ წილიადობილა მეტე საკვირაო
 ფელტონშიო; ან რა საკადრისია შუა-
 ლიდ-მარხვაში შესაწავი გოგებზედ ლა-
 პარაკიო. მართალი ხარ, ჩემო განე-
 ბიერებულო მკითხველო; შუთკარაძე
 არა ღირს იმად, რომ იმაზედ ვილა-
 პარაკოთ და მარტო შუთკარაძეს რომ
 დამარხებოდა ის, რასაც ვხლავ მო-
 გითხრობთ, იქნება ამ ამბავზედ ხმაც
 არ ამომელო, მაგრამ რა ექნათ, რომ
 მთელი ჩვენი ქვეყანა თითო ქცევა

სიმინდებითა და ყანებით არის აჭრე-
 ლებული, მათ შუთკარაძის მზგავს-
 ნი ჰფლობენ და ხშირად ხრ—ვიჩის
 მზგავსნი გვერდით უყენიათ...
 დაუბრუნდეთ ისევ გოგების ამ-
 ბავს:
 თებერვლის 6-ს იყო დანიშნული
 შვირილის მოძრიგებელ სასამართლოში
 ამ საქმის გარჩევა. როგორ გგონიათ,
 ვინ ვის უჩივოდა და ვინ იჯდა ბრალდებ-
 ულთა სკამზე? ბრალდებულთა სკამ-
 ზე იჯდა შუთკარაძე, რომელსაც
 ბრალდებოდა... ბნი ხრონიევიჩის გო-
 კების უპატიურად მიღება თავის სი-
 მინდში. მამამკურნებლად იყო დანი-
 შნული თვით ბნი ხრონიევიჩი. ნიე-
 თიერ დამტკიცებათ სტოლზე უნდა
 დებულყო სიმინდის დაღრღნილი
 ტარო და ბნი ხრონიევიჩისაგან მუ-
 ქუქად ჩადებული მოკლული გოგის
 ნაჭრები (პატივი მარხვას!). შვირილის
 პუბლიკა სულის სისწრაფით თურმე
 მოვლოდა ამ პროცესს, მაგრამ იგი
 სასამართლოს განკარგულებით გადა-
 დებულ იქმნა, არ ვიცით, რა ვადად;
 ბრალდებული კი ზის თურმე ცალკე
 კამერაში და ყოველ დღე იმის გაკვე-
 თილებს იღებს, — როგორ ზრდილო-
 ბიანად უნდა მოექცეს მეზობლიანთ
 გოგებს, თუ ეს მეზობელი გავლენი-
 ნიან პირთა რიცხეს ეკუთვნის.

დიდი ხანი არ არის, რაც თბილისის
 საზოგადოება, რომელიც კი ჩვენს ყო-
 ველ-ღლიურ მწერლობას თვალს ადევ-
 ნებს, ჰკითხულობს, —თუ როდის გა-
 თავდება ლიტერატურა—პედაგოგიუ-
 რი პროცესი ბბ. მოგებაშვილისა და
 ლუღაძის შორის. რადგან მოპირდა-
 პირეთ მედიატორები ამოიჩივს და,
 რალაც ეშმაკად, ისიც დაადგინეს,
 რომ მედიატორების გარდაწყვეტილ-
 ბა „დროებაში“ დაიბეჭდოს, — ჩვენს
 რედაქციას მოსვენება აღარა აქვს სხვა-
 და-სხვა უსაქმე ცნობის-მოყვარე პირ-
 თაგან, რატომ გაზეთში არ აცხადებთ
 ამ საქმის შედეგსაო. მრთხელ და სა-
 მუდამოდ გვიცნობებია ჩვენის მკი-
 თხველებისათვის, რომ რამწამს გარ-
 დაწყვეტილებას დაადგენ, მაშინვე
 დაბეჭდავთ; ასე რომ თუ არ არის
 დაბეჭდილი, ეს იმას ნიშნავს რომ
 გარდაწყვეტილება არსად არის, — და
 რომ დიდხანს მოგინდება ცდა ამ
 გარდაწყვეტილებისა, — ესეც ნამდვი-
 ლია. აი რადა: მედიატორებს მიუ-
 წვევიათ ექსპერტი ლინგვისტიკები და
 მიუხდვიათ მათთვის რამდენიმე კი-
 თხვის დადგენა და მათზედ პასუხის
 მიცემა. ექსპერტებს ერთი წელიწადი
 ვალა უთხოვნიათ და ეს ვალა ბევრად
 არ უნდა გვეჩვენოს, რაკი იმას მივი-
 ლებთ მხედველობაში, თუ როგორ
 მრავალ-მნიშვნელოვანია მათი მრ-მმა



რომ უღროვოდ მოსულ სიკვდილს თვალთ ხედვს და უფულობისა გამო ეგრე მოუშორებია თავიდან. ძალაქებში, მართალია, არიან ქალაქისვე ექიმები, მაგრამ ესენიც თავის ვიზიტებს სხვაზე ნაკლებ არ აფასებენ. ამ შემთხვევაში ქ. შოთი ყველაზე უფრო შეეწირებულა, სადაც სიღარიბესთან ბევრ-ნაირი სენი და ავად-მყოფობაც ხშირია. ამიტომაც წარსულ წელში, როცა აქ ქალაქის ექიმად შ. პ. იმყოფებოდა ერთმა აქაურმა საზოგადო მოღვაწემ წინადადება მისცა, რომ იგი გარიგებოდა ქალაქის მცხოვრებთ იმ ნაირად, რომ ვიზიტის ფული არ მიეღო და რიგინად ეწამლა ავად-მყოფებისათვის, რისათვისაც იგი მიიღებდა კომლზედ ორ მანათს; ეს ფული, რასაკვირველია, გაწერილი იქნებოდა ყველა კომლზედ შეძლების კვალობაზედ.

ეს წინადადება, ვინც გაიგო, ყველამ სიხარულით მიიღო და თვით შ. პ.—ც დასთანხმდა; მაგრამ ქ. გარდაიყვანეს და ეს დაწყობილებაც ჩაიშალა. როგორც ვაფიქვით, ახალი ექიმიც თანხმდებოდა ამ წინადადებაზე; ამისათვის ურიგო არ იქმნებოდა, რომ ჩვენი ფოთელები მოილაპარაკებდნენ და ამითი ღარიბებს გამოიხსნიდნენ უღროვით სიკვდილისაგან; მაშინ ყველა ღარიბს მოსახლეს ნება ექმნება ექიმის შემწეობას მიმართოს უფულოთ.

ამასთანავე ურიგო არ იქმნება, რომ ქალაქი თავის საკუთარს სახლში რიგინ საავადმყოფოს გააკეთებდეს და იქვე იქონიებდეს პატარა საშინაო აფტიკუსს, რომელიც ქალაქის ფელდშერს ექმნება ჩაბარებული. ამ საავადმყოფოში უსახლკარო ავადმყოფები თავს შეაფარებენ და აფტიკედან ღარიბები ნაკლებ ფასად წამლებს გაიტანებენ. ამ საქმეს დაეხმარებინა ზოგნი ხელის მოწერიით და სცენის მოყვარენი წარმოადგენდნენ. აუტყვია მით უფრო საჭიროა, რომ აქაურ აფტიკაში, რომელიც შ. ანციბას ეკუთვნის, წამალი ორ ზომად უფრო ძვირია, მინამ სხვა ქალაქებში.

ფოთელი.

სმნაძი, თბეჯელის 12-ს. ჩვენს მაზრაში იხსნება მომრიგებელი სასამართლოს მესამე განყოფილება. როგორც ვაფიქვით სარწმუნო პირისაგან, ბ. სენაკის მომრიგებელ მსაჯულს მთავრობა დაჰკითხვია, — თუ სად უმჯობესი იქნება ამ მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილების გახსნა, და ბატ. მსაჯულს უპასუხნია სოფ. ნაქალაქევი. ან „აბაშის“ სტანციაზე; ამ ნაირად გამოჩნდა ორი მოპირ-დაპირე ადგილი; პირველი. იქით მიეზიდება და მეორე აქეთა. ამის გამო მინდა გავაცნო თქვენი პატივ-ცემული გავითის მკითხველები ერთსაც და მეორესაც და დაეანახვო სად უფრო, არამც თუ საჭირო, უსაჭიროესი და მიუცილებელი არის ვახსნას მომრიგებელი სასამართლოს მესამე განყოფილება. „აბაშის“ სტან-

ცია არის ცენტრი (შუა-გული ადგილი) ათის მკიდროდ დასახლებულის სასოფლო საზოგადოებათა, რომელთა მცხოვრებლების რიცხვი იქმნება 30,000-მდე. ეს ათი სოფ. საზოგადოებანი მდებარეობენ ახალ-სენაკიდან 30—20 ვერსზე და მათს მცხოვრებლების სენაკში მიმოსვლას ძლიერ აბრკოლებენ მდინარენი: რიონი, სენის წყალი, აბაშა და ტეხური. ამ მდინარეებზე არ არის ხიდები და, ქარიანობის და წყალ-დიდობის დროს თითო ორ-ორ კვირაობით ვერ მუშაობენ პაროპები და ნაეები, რის გამო ხალხი მოკლებულია სენაკში მისვლა-მოსვლის საშუალებას; სენაკელი მომრიგ. მოსამართლე ხშირად არჩევს ამ საზოგადოებათა მცხოვრებლების საქმეებს უმათოდ და კიდევაც ჯარიმას ადებს მათ გამოუცხადებლობისათვის; ვინ არას დამნაშავე, განსაჯოს მკითხველმა.

სოფ. ნაქალაქევი კი ერთი მკირედ დასახლებული სოფელია, რომელსაც შორს ახლავს სხვა სოფლები. სენაკიდან ნაქალაქევამდის მიდის მშენიერი გზა-ტყევილი, სადაც მგზავრს არამც თუ დამაბრკოლებელი მდინარეები, უბრალო რუც არ შეხვდება. ნაქალაქევი ახალ-სენაკს ათს თუ თორმეტს ვერსზე ახლავს და თითქმის ამავე მანძილით არის დამორებული დაბა ნაოლაღვესაც, სადაც არის აგრეთვე მომრიგებელი სასამართლო. ამ ნაირად ნაქალაქევისათვის ორივე სამსაჯულო ადგილი ახლოს არის. „აბაშის“ სტანციას კი არ უნდა ასცილდეს მომრიგებელი სასამართლოს განყოფილება, თუ ძალამ თავისი არ ჰქნა და მართლმსაჯულება არ დაიხარა.

აბაშიდანაც და ნაქალაქევიდანაც ამ საქმის თაობაზე დეპუტაციები არის წასული მუთაისში და ვნახოთ, რომელი დასძლევს.

კოდორელი.

ახალ-სინი, თბეჯელის 10-ს. დიდის სიხარულით დაუტყვედით იმ ხმას, რომელიც ამას წინადა გავრცელდა ჩვენს ძველს ქალაქში, ვითომც ფოსტის მმართველს განეზრახოს აქ ფოსტის განყოფილების გახსნა ან ფოსტის იანჭიკის (ყუთის) გამართვა, მაგრამ ჩვენს სამწუხაროდ დღესაც არ მოსულა ეს განზრახვა აღსრულებაში. უბრალო წერილის გასაგზავნად თითქმის ვერს-ნახევარი გზა უნდა ვირბინოთ, სწორე გზა რომ იყოს კიდევ ჯანი გავარდეს, სულ გრძელი ძველი ქალაქელები ამასაც მოითმენენ, მაგრამ, ჩვენს საუბედუროდ ეს გზა საშინელი დაღმართიანი და ხშირად ძალიან ტალახიანიც არის, რის გამოც ძალიან ძნელდება უბრალო წერილის გაგზავნა. ძარტი იქნება ფოსტის მმართველმა მიაქციოს ამ საგანს ყურადღება და გამართლოს ხალხში გავრცელებული ხმა.

თითქმის ყველა ქალაქებმა შეიძინეს რკინის ხიდები, ჩვენი ბედურული

ახალ-სინი კი ხეირიანი ხის ხიდის ღირსიც ვერ შეიქმნა. თუ დაჩეხილ გველსავეთ საცოდაოდ დახლ აქნილი და უსწორ-მასწორო სულ ერთს ლექსს გაიძახის: „თქვენ არ მასწორებთ, მეც არ გავსწორდები, ვნახოთ როდემდისა“?!!.. არ ვიცი თუ რატომ ყურადღებას არ აქცევს ვინც ჯერ არს! იქნება დაქცევა ვლის?!

ჯერ სულ არა გეყავდა აბაშარნიკი და ახლა კი ისეთი კაცი ვიშოვეთ, რომელიც ყოველს ცისმარე დღეს სულ იმას გაიძახის, რომ მე კვიანი ვარო, ამას თვით ჩემი პავონებიც ამტკიცებენო (დათხოვნილი პოლპორუჩიკი); კულის ქონებაზე ჩვენც დავეთანხმებით, მაგრამ, რომ მის კუყას სინიღისიც შეეფერებოდეს, არ იქნება ურიგო...

ჯანა აბაშევი.

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო! შენასწავლ დროს ჩვენს ლიტერატურულს მოძრაობას დიად შესამჩნევი ფერი დაეტყუა. მანსაკუთრებით მიმართულება ძიეცა დღიურს მწერლობას: დრო გამოშვებითს გამოცემას, გაზეთს და ჟურნალს, — მხარი დაუშვენა ვგრედ წოდებულმა კლასიკურმა ლიტერატურამ. ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ შეიგნო და სამუდამოდ დარწმუნდა, რომ საჭიროა ძველი მწერლობის აღდგენა, მისი შესწავლა. ძიეცა ამისთვის ასე ხშირად ბეჭდავენ ძველ-თხზულებებს. შველა ქართველს, რომელსაც-კი გულის შესტყევა სამშობლო მწერლობისათვის და ჰსურს მისი წარმატება, ერთი საღმართო მოვალეობაც არ უნდა ავიწყებოდეს, — ყველა ვალდებულია, შეძლებისამებრ, თავის ცოდნით და სწავლით დაეხმაროს ჩვენს ლიტერატურულს მოძრაობას, გაცუნოს მკითხველს საზოგადოებას მნიშვნელობა და ღირსება კლასიკური ლიტერატურისა. როგორც მოგვხსენებათ, ძველი ქართული მწერლობა არ არის ღარიბი ნაწარმოებებით, რომელნიც მრავალ-გვარს სამეცნიერო საგანს შეეხებიან და, სხვათა შორის, მას მოეპოვება ასეთი ძველი სამკურნალო მეცნიერებისა, როგორც არის კაპაბადანი. ჯერ ჩვენს მწერლობაში არა თქმულა ამ კაპაბადანზედ, — თუ რა ღირსება და მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების მხრით. ამ ნაკლის შევსება, ვგონებ, სასარგებლოც იყოს და დროების მოთხოვნილების შესაფერიც. მე, ხელობით და სწავლით ექიმს, მსურს კარაბადანის განხილვა და მისი დაფასება. ამისათვის საჭიროა სხვადასხვა ვარიანტების შესწავლა, მაგრამ ამ ყაშად ხელში მაქვს მხოლოდ ერთი ვარიანტი, მეორის შოვნაც აღმოთქვებს. ამ წერილით, რომელსაც თქვენ, ბატ. რედაქტორო, მოკმართავთ, ვთხოვ ყველა ქართველს, ვისაც-კი, ძველი ხელთ-ნაწერი კაპაბა-

დანი მოეპოვება, გაეცნოს მას და მე ყველა პირობაზედ თანხმა ვარ. მაგზავნის ხარჯს მე ვეისრულობ. ხელთ-ნაწერს პატრონს მალე დაეუბრუნებ და ვისაც ჰსურს, მას არც გიროზედ ვეტყვი უარს.

თახუთის მახრას ექიმი,
კონსტანტინე ხახუტაშვილი.
თბეჯელის 14-ს.

სველგრაბები

(„ხდალოკთის საბეგრტისი“)
თბეგრვლის 15-ს

მოსკოვი. ჩაისა და კოლონიადური ფირმა „ივან მაკაროვ კლეინისა“ გაკოტრდა. გადაედელი ვალი 1 1/2 მილიონამდეა. კლეინი ცდილობს რომ გაკოტრებული ფირმის საქმეების გასაწმენდად დაიშინოს ცალკე გამგეობა.

პარიში. პაფატამ მიიღო დამატებითი გადასახადად 6 ფრანკი ევროპისა ანუ ევროპის გარედან პირდაპირის გზით შემოსატან ფქვილზე; იმ ფქვილეულობაზე კი, რომელიც ევროპის გარედან შემოაქვთ, მაგრამ პირდაპირ არა, ბაჟი უნდა აიწიოს 9 ფრანკსა და 40 სანტიმამდე.

ლონდონი. შებენინისში, თოფზარბაზნის სასროლ ადგილს გასკვდა უეშბარა, რომელმაც მოჰკლა აფიკერი და კანონირი და მძიმედ დასტრა ორი პოლიკოვნიკი, რვა აფიკერი, არტილერიის რამდენიმე საფლდათები და გარეშე პირნი. ორივე პოლიკოვნიკები დღეს დაიხოცნენ.

ბერნი. აქ დაიჭირეს ათი ანარქისტი. შვეიცარიის სხვა ქალაქშიაც დაიჭირეს ანარქისტები.

იუბი. ბიუფერიის მწუბრი ერთი დღის სავალზე მიუხლოვდა გაკედელს.


კუშტი. დეპუტატთა პაფატამ გადასწვიტა, რომ ურებისაც მიეცეთ უფლება მაგნატთა (დიდებულთა) პაფატაში წარმომადგენლობისა.

პამბურში. ინგლისის გემი კუმბერლენდი დაეჯახა შვეციის გემს ნორდენს გუესტაჭენის ახლოს. ნორდენის გემიდან გადაარჩინეს 6 კაცი, 21 კი გემიანად დაიდეჰა.

თბეგრვლის 16 ს.

ლონდონი. ნორსკოტმა წინადადება შეიტანა საზოგადოებათა პაფატაში, რომ გაეციტხათ ვაბინეთის პოლიტიკა, მაგრამ 302 ხმამ 288 წინააღმდეგ უარჰყო ეს წინადადება.

პარიში. ბაჟი ევროპისა და ევ-



როლის გარედან პირ-და-პირის გზით მოსატან ფეკილზე ეხლა შეადგენს სულ 6 ჭრანკს. იმ ფეკილზედა კი, რომელიც ევროპის გარედან მოდის და საფრანგეთში შემოაქვთ ევროპიულ საწყობებიდან ბაჟად დადებული არის 9 ჭრანკი და 60 სანტიმი.

მესამისა	—	—	1 გ.	3 გ.
ძროხის ხორცი:				
ზირკულის ხორცისა	—	1 გ.	8 გ.	
მურისა	—	—	1 გ.	7 გ.
სუკი	—	—	1 გ.	15 გ.
ცხვრის ხორცი	—	1 გ.	8 გ.	
ღორის ხორცი:				
ზირკულის ხორცისა	—	1 გ.	8 გ.	
მურისა	—	—	1 გ.	7 გ.

„დროშის“ უოსტა.

„კორტინას“ თქვენი ლექსები ან დაბეჭდება.

დ. ფ.—ავას. გამდლობთ ცნობები-სათვის, მაგრამ თქვენს წერილს „მას-წავლებლების ქვეყნად“ ვერ დაუბეჭდავთ; მეტად საზოგადოდა სწოთ მა-გალითების უჩვენებლად.

ი. ხოტეველს. თქვენს წერილსაც შეძახსენებულა ნაკლებად აქვს, თუმცა ტემა კარგი აგიათ.

მ. ა.—შვილს. რამდენიმე გაც-ნობით მიხედა თქვენს წერილების დაუბეჭდაბისა. იმისთანა სავსეად დასაწყობთ, რომლებსაც გავითა ნე-ბა-დაურთველად ხმას ვერ ამოაღებს.

ს. ლ.—შვილს. ჩვენ თუასანაურის მომხრე ვართ, თქვენ ასე-გორისა, — რომ ვერ მოკრიგდებით!

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ. ნ. ვარკვიანი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულედ ავადმყოფთათვის დაარ-სებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემო-ღებული არის მქნაფრებთა შეღავა-თისათვის ღამობით მორიგად ყოფ-ნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ამიკაბი:

არსთინიანი, ორშაბათობით, ხუთ-შაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შა-ბათობით.

გელიმ-ვარსაღანოვი, ოთხშაბა-თობით და პარასკეობით.

ბაბიკაბი:

ფილჩაქოვისა, სამშაბათობით.

ბაბინოვისა, ორშაბათობით, და პარასკეობით.

სტაჟანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქვისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

გაზანად

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი-ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამ-დე 1885 წ.

გამომცხვარი შუნი რუ-სეთის ფეკილისა	—	1 გ.	5 გ.
აჭაურის ფეკილისა: პირ-ველის ხორცისა	—	1 გ.	2 1/2 გ.
მურისა	—	1 გ.	2 გ.
იმავე ფეკილ. თორწეში გამომცხვარი:			
პირველი ხორცისა	—	1 გ.	4 1/2 გ.
მურისა	—	1 გ.	3 გ.
მესამისა	—	1 გ.	2 1/2 გ.
ჭვარის-შიაი შუნი:			
პირველი ხორცის. ღაჯაში	1 გ.	4 1/2 გ.	
მურის ხორცის. ღაჯაში	1 გ.	3 1/2 გ.	

რძინის გზა

თბილისიდან ბათუმიკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდან მარტო საშურამდინ 6 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით.

(სამშაბათობით და შაბათობით სანქარა 10 ს. 58 წ. დაშ.)

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო საშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.

(სამშაბათობით და შაბათობით სანქარა 7 ს. 53 წ. დაშ.)

განცხადებანი

აუზუაჟი ვინტაჟისა

გალაფინის პრესბუტეჟე, ფოსტის შენობის მსაღობლად.

ბ. დებულია სანახავად საზოგადო-ებისაგან დილის 10 საათიდან სალა-მოს ათ საათამდის.

უმორჩილესად ვაუწყებ თბილი-რის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩემი მუზეუმი მხოლოდ ორ-შაბათამდის, თებერვლის 18-ს რჩე-ბა თბილისში.

შესვლის ფასი ყველა განყოფილე-ბაში და ანატომიურს კაბინეტში შემ-ცირებულია აბაზამდის; ბავშვები და მხედრობის დაბალი ჩინები იხდიან ორს შურს. ანატომიური განყოფი-ლება განხილთა მხოლოდ დიდების-თვის.

იმელი მაქვს, პატივცემული საზო-გადოება არ მომკლებს თვის ყურა-ღებას.

(2—2) კინტერი.

გაყიდვა 5% სახელმწიფო მოგზავი ბილეთისა ფასის წვრილ-წვრილად გადახდით

ბილეთები იყიდება ს. პეტერბურგის ბირჟის ოფიციალურ ფასად; ყიდ-ვის დროს უნდა შემოტანილ იქმნას 20 მან. ბილეთზე, დანარჩენი ფული-კი უნდა შემოიტანოს მყიდველმა თვე-და-თვე, როგორც თვითონ განსაზ-ღერავს—თითო თუმბობით, თუ ხუთ-ხუთ მანათობით. მაღაზე შემოსატანი გადასახადის დამგვიანებელს ეძლევა კიდევ 30 ლგ საშელავთოდ. ბეას ში-ცემის დღიდან ყოველივე მოგება, რომელიც სჭდება საყიდს ბილეთს, სრულად კუთვნის მყიდველს. კანტარის სასარგებლოდ ანაფური ან გამოყრიცხება მომ-გებს. ბილეთის მყიდველს ეკუთვნის აგრეთვე ყოველივე მოსალოდნელი სა-კურსო ფასის მომატება ბილეთზე. მოგების ტირაჟი არის ხოლმე: პირველი სესხის ბილეთებისა— იანერის 2-ს და იელისის 1-ს; მეორე სესხის ბილეთე-ბისა მარტის 1-ს და ენკენისთვის 1-ს ყოველ-წლივ შემდგენის პლანით: ერ-თი მოგება არის 200,000 მანათიანი, ერთი 75,000 მან., ერთი 40,000 მანათიანი, ერთი 25,000 მანათიანი, სამი 10,000 მან., ხუთი 8,000 მან. რვა 5,000 მან. ოცი 1000 მან. და ორას სამოცი 500 მანათი-ანი. მომგები ბილეთის და ღვევა რომ ტირაჟში არ გამოვიდეს ორს—ათი შაჟრი ბილეთზე. ავანტი ს. კატიკაშვილის ბანკირის კ. ა. კლივის კანტორისა: ი. პ. საულინი ბათუმში.

ქვემო-ხსენებული კანტორა ამით ამოწმებს, რომ ადენტი ი. პ. საუ-ლილს

მინდობილი აქვს ჰქონდეს კანტორის სახელით ხვედრი ფულის და ცალეებით 5% სახელმწიფო მომგები ბილეთები ორთავე სესხისა, აგრეთვე მიიღოს ისინი დასაზღვევად ტირაჟში გამოხველიდან, თანახმად კანტორისაგან მიცემულს ვეკილობისა.

ბანკირის კანტორა კ. ა. კლივისა ს. პეტერბურგში. (10—5)

რამაშა ბუკალისა

საუკეთესო საშუალება აქმომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

შეცრად სწავლებას ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. კრიჭინებს, პრუსაკებს, ბაღლინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მანებელს ნივთიერე-ბას. რომ არაფერ არ მოახერხოს თავად შიითვისოს ამ წამლის გამო-გონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამოგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „რამაშა ბუკალის“ ყველა კოლოფზეა.


ფასი კოლოფისა 75 კან. და 40 კან.

ისუილება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

შუთავრესი დებო ამიერ—კავკასიისათვის არის თბილისში „მავ-კასიის საზოგადოება საფთიაკო საქონლით ვაჭრობასა და მის განყოფი-ლებაში ბაქოს. II 19,485 (25—14)

გამოვიდა და ისუილება

ზღაპრული კომეა გ. ვარკვილისა



ბამოცემა „ნობათია-ს რედაქციისა, მენაში და პეტერბურგში ცინკოგრაფიით დამზადებულის სურათებით. ფასი ყველგან სამი აბაზა.

ისუილება: თბილისში—ნობათია-ს რედაქციაში, გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ვ. შავეროვის საავენტოში და ქუთაისში—მმ. შილაძეთა წიგნის მაღაზიაში. გორში—ს. მგალობლიშვილისას. თე-ლაში—იე. როსტომაშვილისას. ბათუმში—მოსე ნოათიასას.

მინც პირ-და-პირ ნობათია-ს რედაქციიდან ათს ეგზემპლიარს დაიბარებს, წიგნი ელირება ათი შაჟრი. (10—7)